## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

### სხდომის ოქმი N 35

6 თებერვალი, 2020 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

16:30 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, გ. გოცირიძე, ვ. ძნელაძე, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია.

**სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:**

ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

**მოწვეული სტუმრები:**

1. ირმა კეკელიძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე;
2. გიორგი მამუკელაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი;
3. ელენე შაბურიშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლის დირექტორი;
4. ლიკა ჩხიკვაძე - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი;
5. გიორგი სვანიძე - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი;
6. გიორგი შარტავა - ჟიული შარტავას შვილიშვილი;
7. რატი შარტავა - ჟიული შარტავას ძმისშვილი;
8. ცირა გრიშიკაშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
9. ელიზა ნიჟარაძე - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
10. ეკატერინე ტალახაძე - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
11. თინათინ შარაშენიძე - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
12. ირმა კაკაურიძე - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
13. ნონა ტარიელაშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
14. მარიამ გიგილაშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
15. ნიკა პერტაია - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
16. თამარ ზანდუკელი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
17. გია გოგიშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
18. ლუკა გობეჯიშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;

19. ლიზი პეტრიაშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
20. დავით გელაშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
21. ნიკოლოზ კუნჭულია - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
22. ნიკოლოზ ცირამუა - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
23. ივანე მელუა - სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა;
24. ნინო გახარია - სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის დირექტორი;
25. ნელი მუჯირიშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მდივანი;
26. დარეჯან ჯეირანაშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
27. გურამ კუპატაძე - აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურეობის კავშირი ,,დიოსკურია-2005''-ის გენერალური მდივანი;
28. სიმონ ზაქარაია - აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურეობის კავშირი ,,დიოსკურია-2005''-ის საპატიო პრეზიდენტი;
29. მაყვალა ბერიანიძე - მწერალი და პუბლიცისტი;
30. ჯენეტი წურწუმია - ჯამბულ წურწუმიას და
31. იოანე თოლორაია - ჯამბულ წურწუმიას შვილიშვილი, სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მოსწავლე;
32. ლიზა თოლორაია - ჯამბულ წურწუმიას შვილიშვილი, სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მოსწავლე;
33. რუთი მიქელაძე - სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მოსწავლე;
34. გვანცა გვარამაძე - სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მოსწავლე;
35. სესილი ყოლბაია - სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მოსწავლე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. **საკითხი:** სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

**მომხსენებელი:** ქალბატონი ნინო გახარია

**თანამდებობა:** სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის დირექტორი.

**თანამომხსენებელი:** ბატონი გურამ კუპატაძე

**თანამდებობა:** აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურეობის კავშირი ,,დიოსკურია-2005''-ის გენერალური მდივანი.

2. **საკითხი:** სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

**მომხსენებელი:** ქალბატონი ელენე შაბურიშვილი

**თანამდებობა:** სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლის დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სხდომის დასაწყისში განმარტა, რომ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნო აქტიურად თანამშრომლობდა სკოლების დირექციებთან და საკითხით დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის, ჟიული შარტავასა და ჯამბულ წურწუმიას ოჯახის წევრებთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან. ასევე, საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რომელიც საბოლოოდ გასცემს თანხმობას სკოლების სახელდებაზე და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომას ესწრება სამინისტროს წარმომადგენელი. კიმისიის თავმჯდომარის თქმით, სხდომაზე განხილვაში ასევე მონაწილეობას იღებდენ თბილისის 62-ე და 94-ე საჯარო სკოლების დირექციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, ჟიული შარტავასა და ჯამბულ წურწუმიას ოჯახის წევრები.

1. 94-ე სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ სკოლა მდებარეობს ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქუჩის მიმდებარედ, სადაც ასევე მდებარეობს აფხაზეთის ომში, კოდორის ხეობაში დაღუპული გმირებისა და ჯამბულ წურწუმიას მემორიალი. კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურეობის კავშირი ,,დიოსკურია-2005''-ის წარმომადგენელს, ბატონ გურამ კუპატაძეს სახელდების შესახებ წინადადების დაყენებისა და როგორც სკოლასთან, ისე თბილისის საკრებულოსთან აქტიური თანამშრომლობისთვის.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი იქნება ჟიული შარტავას მოღვაწეობის ამსახველი კადრები, აგრეთვე, ჯამბულ წურწუმიას შვილის, ჯილდა წურწუმიას შესახებ ვიდეო-მასალა, რომელიც ასევე არის სამხედრო და მსახურობს მე-12 ბატალიონში, NATO-ს სწრაფი რეაგირების ასეულში ოცმეთაურად. როგორც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, ჯილდა წურწუმია დაიბადა მამის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, მოცემული დროისთვის კი მისიით იმყოფება ავღანეთში. დეპუტატის თქმით, აღნიშნული არის მაგალითი იმისა, რომ ოჯახები აგრძელებენ ქვეყნისა და მშვიდობისთვის მსახურებას და მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გადაეცეთ ეს სულისკვეთება. დეპუტატმა აღნიშნა, რომ თითოეული მოქალაქე ქვეყანას ყოველდღიური შრომითა და საქმიანობით უნდა ემსახურებოდეს და იბრძოდეს მშვიდობისთვის, საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის.

სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონი ნინო გახარიას განმარტებით, ჯამბულ წურწუმიას 94-ე სკოლაში არ უსწავლია, თუმცა სკოლა იცნობს მის პოეზიასა და გმირული ცხოვრების შესახებ ინფორმაციას, შედეგად, 2015 წელს მოაწყო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ კავშირი ,,დიოსკურია-2005''-ის წარმომადგენლები და ჯამბულ წურწუმიას ოჯახის წევრებიც; მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების გაზრდის მიზნით კი გაჩნდა იდეა სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების.

კავშირი ,,დიოსკურია-2005''-ის წარმომადგენელმა, ბატონმა გურამ კუპატაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის საკრებულოსა და განათლებისა და კულტურის კომისიას სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების საკითხის განხილვისთვის. მისი თქმით, ჯამბულ წურწუმიამ შექმნა ნოველა, სახელწოდებით „აპოკალიფსის მხედარი", რომელიც ეძღვნება ქართველთა და აფხაზთა მეგობრობას და აღნიშნა, რომ ჯამბულ წურწუმია არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სამშობლო. ბატონი გურამის თქმით, ჯამბულ წურწუმიას გარდაცვალებამდე, 1993 წლის 18 სექტემბრამდე, ერთი კვირით ადრე, კოდორის ხეობაში მებრძოლებს შეხვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ჟიული შარტავა, რომელსაც ჯამბულ წურწუმიამ შემდეგი ლექსით მიმართა: „ვინ დააჩოქებს კოდორის ბოკვრებს, მამა-პაპათგან ბრძოლებში ნაჩვევთ, საქართველოსთვის იქნება მოვკვდეთ და მაინც მარად ცოცხლები დავრჩეთ". ბატონი გურამის თქმით, სიმბოლურია, რომ თბილისის საკრებულოს

განათლებისა და კულტურის კომისია ერთ სხდომაზე განიხილავს ჟიული შარტავასა და ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭებას თბილისის სკოლებისთვის.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს სკოლებისთვის აფხაზეთის ომში დაღუპილი გმირების სახელის მინიჭებას და ამ გზით ისტორიის გაცოცხლებას. ქალბატონი მარიკას თქმით, ჯილდა წურწუმია სხვა მებრძოლ ქალბატონებთან ერთად იმყოფებოდა ერთ-ერთ ღონისძიებაზე თბილისის საკრებულოში.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის წევრი, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე არის აფხაზეთის ომის მონაწილე, რისთისაც მადლობა გადაუხადა მას.

კომისიის წევრმა, ბატონმა ერეკლე კუხინიძემ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს ორი ჭეშმარიტი გმირის კიდევ ერთხელ დაფასებას საჯარო სკოლებისთვის სახელის მინიჭებით, ვინაიდან სკოლებში იზრდება მომავალი თაობა, რომელმაც უნდა იცოდეს წარსული, იცნობდეს დამსახურებულ ადამიანებს, მათ საქმეებს და გმირობის ზუსტ არსს.

კავშირი „დიოსკურია-2005"-ის საპატიო პრეზიდენტმა, ბატონმა სიმონ ზარქუამ, რომელიც პირადად იცნობდა ჯამბულ წურწუმიას აღნიშნა, რომ ტყვარჩელში მყოფმა აფხაზებმა რუსეთიდან შეიარაღების მიღებისთანავე დაიწყეს შეტევა კოდორის ხიდზე, როდესაც სოხუმისა და გულრიფშის მოსახლეობა ჯერ ადგილიდანაც კი არ იყო დაძრული და რომ არა ჯამბულ წურწუმიას ბრიგადის თავგანწირვა, რომელიც ხიდს იცავდა, ადგილობრივი მოსახლეობა ცოცხალი ვერ გამოაღწევდა კონფლიქტის ზონიდან. ბატონი სიმონ ზარქუას თქმით, 94-ე საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენაში.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ნინო გახარიამ, გურამ კუპატაძემ, მარიკა დარჩიამ, ერეკლე კუხიანძემ, სიმონ ზარქუამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „სსიპ ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების

დადებითად შეფასების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე ______________ 6
წინააღმდეგი ______________ 0
თავი შეიკავა ______________ 0

გადაწყვიტეს (ერთხმად): განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ,,სსიპ ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლისათვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების საკითხს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სიტყვა გადასცა სსიპ თბილისის 62-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ელენე შაბურიშვილს, რომელმაც განმარტა, რომ სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩაზე, შესაბამისად, სკოლის დირექცია, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეები და მშობლები მიიჩნევენ, რომ სკოლას უნდა ეწოდოს ბატონი ჟიული შარტავას სახელი. მისი თქმით, ბატონი ჟიული შარტავა არის ლეგენდა, საქართველოს ეროვნული გმირი, რომელიც 2004 წელს მიენიჭა. ქალბატონი ნინო გახარიას თქმით, ბატონი ჟიული შარტავა დარჩა და მარადისობაში გადავიდა, როგორც გმირობის, თავდადების, მამულიშვილობისა და ერისკაცობის მაგალითი. სკოლის დირექტორის თქმით, 62-ე საჯარო სკოლა მოსწავლეებს ეროვნული ფასეულობებით ზრდის, ჟიული შარტავას სახელის მინიჭება კი ხელს შეუწყობს აღნიშნულ საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მხაობა გამოთქვა, ჩაერთოს ჟიული შარტავას იუბილისადმი 62-ე საჯარო სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებში და სიტყვა გადასცა ჟიული შარტავას ძმისშვილს, ბატონ რატი შარტავას, რომელმაც ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა სკოლას საკითხის ინიცირებისთვის; ასევე, ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრებს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

წარმომადგენლებს და ქართველ ხალხს, რომლებიც აფასებენ 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებულ კონფლიქტებში - აფხაზეთში, სამაჩაბლოში, 2008 წლის ომსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაღუპულ პირებს. ბატონი რატი შარტავას თქმით, ამ ადამიანებმა თავდაუზოგავი ბრძოლით დაამტკიცეს ქვეყნისადმი ერთგულება და ალბათ, მომავალში საქართველოს მრავალ სკოლას მიენიჭება მათი სახელები. მისი თქმით, საქართველოს მადლიერი შთამომავლობა არ დაივიწყებს იმას, თუ რა ფასად დაიცვეს მათ ქვეყანა. ბატონი რატის თქმით, ჟიული შარტვა დაიბადა და გაიზარდა პედაგოგების ოჯახში - დედა იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მამა კი - ისტორიკოსი; სწავლობდა სენაკის N2 საჯარო სკოლაში, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. ბატონმა რატიმ იმედი გამთქვა, რომ ქალაქ თბილისის N62 და სენაკის N2 სკოლები მომავალში ითანამშრომლებენ. მისი თქმით, საჭიროა, შეიქმნას ისტორიული ნაწარმოებები საქართველოს ბოლოდროინდელ სამხედრო კონფლიქტებში დაღუპული გმირების, მათი თავგანწირვისა და საქმეების შესახებ.

ქალბატონმა მაყვალა ზერიანიძემ მადლობა გადაუხადა ორივე სკოლის დირექტორს, განათლებისა და კულტურის კომისიას და თბილისის მთავრობას. მისივე თქმით, ჟიული შარტავა სკოლაში სწავლისას აქანდაკებდა სულხან საბა-ორბელიანის ქანდაკებას, ასრულებდა ილია ჭავჭავაძის როლს და სურდა საქართველოსთვის მსახურება. და სწორედ სამშობლოს სიყვარულს შეეწირა ის. ქალბატონმა მაყვალამ აღნიშნა, რომ რამდენი გმირიც არ უნდა დაიღუპოს, მაინც გამოჩნდებიან მათი მსგავსი სხვა ადამიანები და საქართველო აუცილებლად გამთლიანდება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ, მათაწმინდაზე გაიხსნა ახალგაზრდა პოეტის, ვანლერ დაისელის მემორიალური დაფა, რომელიც იყო გალაკტიონ ტაბიძისა და ცისფერყანწელების მედროვე, ქმნიდა ანტისაკუპაციო და ანტიბოლშევიკურ პოეზიას, რისთვისაც ოთხჯერ დააკავეს და ბოლოს გადასახლებაში მყოფი, სავარაუდოდ, 1937 წლის მასშტაბური რეპრესიების დროს დაიღუპა. დეპუტატის თქმით, ვანლერ დაისელი არ იყო ბრძოლის ველზე, თუმცა სხვა სივრცეში ებრძოდა ბოროტებას, ამიტომაც, მოსწავლეებისთვის საყურადღებოა, რომ ქვეყნისთვის ბრძოლა ყოველდღიურია და გამოიხატება სხვადასხვა ქმედებაში, მათ შორის, კარგად სწავლაში.

სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლის მასწავლებელმა, ქალბატონმა ელიზა ნიჟარაძემ განმარტა, რომ ჟიული შარტავას იუბილესთან დაკავშირებით სკოლა გეგმავს ღონისძიებებს, რომელშიც ჩართულები არიან მოსწავლეები და მშობლები; შექმნილია საინფორმაციო ვიდეო-

რგოლი; ჩატარდება რაიონის მასშტაბის კონკურსი, რომელშიც სხვა სკოლებიც მიიღებენ მონაწილეობას და მასში ნომინაციების მიხედვით გამარჯვებულებს გადაეცემათ ჟიული შარტავას სახელობის პრიზი; წარმოდგენილი იქნება ქორეოგრაფიული ნაწარმოებები; ჩატარდება სპორტული ღონისძიებები და გაიმართება დასკვნითი ღონისძება, რომელზეც მიწვევენ თბილისის საკერბულოს წარმომადგენლებს.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 22-24 თებერვალს საქართველოს ეწვევა ევროსაბჭოს კონგრესის პრეზიდენტი, რის ფარგლებშიც გაიმართება მაღალი დონის ოფიციალური შეხვედრები და აგრეთვე, ეწვევა საოკუპაციო ხაზს. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ორგანიზებით კი ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, რომელიც არის 25 თებერვალი, სკოლის მოსწავლეებთან ერთად კონგრესის პრეზიდენტი ეწვევა ოკუპაციის მუზეუმს და შესთავაზა 94-ე და 62-ე სკოლის მოსწავლეებს ჩართულობა.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ აღნიშნა, რომ საქართველო ყოველთვის გაიხსენებს და დააფასებს თავის გმირებს, თუმცა, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს არ ახსოვთ აფხაზეთი, რადგან პირადად არ უცხოვრიათ იქ და არ უნახავთ, ამიტომ აუცილებელია მსგავსი პატრიოტული ღონისძიებები, რათა გაუღვივდეთ ეროვნული სულისკვეთება. მანვე მადლობა გადაუხადა ორივე სკოლის წარმომადგენლებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ირმა კეკელიძემ, მადლობა გადაუხადა 62-ე, 94-ე საჯარო სკოლებსა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღნიშნული საკითხების განხილვისთვის და აღნიშნა, რომ გმირების სიცოცხლე გრძელდება და მათ მაგალითზე თაობები იზრდება.

N62 საჯარო სკოლის მოსწავლის თქმით, მოსწავლეები სურთ სკოლას მიენიჭოს მათთვის მისაბაძი პიროვნების, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელი. მისი თქმით, მოსწავლეები გეგმავენ სქართველოს გმირების თემატიკაზე ფოტოკონკურუსს, რომელშიც სხვა სკოლის მოსწავლეებსაც შეემლებათ მონაწილეობა.

საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულო სიამოვნებით უმასპინძლებს კონკურსის გამარჯვებულს და დაუთმობს დარბაზს გამოფენის მოსაწყობად. ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, განათლებისა და კულტურის კომისიის ორგანიზებით, 2014 წლიდან ხორციელდება პროექტი „ახალგაზრდული საკრებულო", რომლის

ფარგლებში საკრებულოს წევრები სისტემატიურად ხვდებიან მოსწავლეებსა და სტუდენტებს, აწყობენ ტურს დედაქალაქის ისტორიულ შენობაში და მსჯელობენ მათთვის საინტერესო თემებთან დაკავშირებით.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ელენე შაბურიშვილმა, რატი შარტავამ, მაყვალა ბერიანიძემ, ელიზა ნიჟარაძე, გულია გოცირიძემ, ირმა კეკელიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების დადებითად შეფასების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე ________________________ 6
წინააღმდეგი ____________________ 0
თავი შეიკავა ____________________ 0

გადაწყვიტეს (ერთხმად): განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ,,სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების საკითხს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი